

„ქალი და მშვიდობა“



2022 წლის 22 სექტემბერს მშვიდობის საერთაშორისო დღის კვირულთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით, საქართველოს ქალთა საბჭოს ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა ასოციაციის და მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობით გაიმართა ფორუმი „ქალი და მშვიდობა“, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში.

ფორუმი გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს ქალთა საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე ქეთევან გაბრუაშვილი. მან წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ომში დაღუპულ მოქალაქეებსა და ჯარისკაცებს. მანვე ისაუბრა ყველანაირი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე და ქალის როლის შესახებ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მრავალეროვან საქართველოში ჰარმონიული თანაცხოვრების პირობების გაღრმავებაზე.

ფორუმს მიესალმა და წარმატებული დღე უსურვა, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის მენეჯერმა ქალბატონმა მაკა კვარაცხელიამ.

ფორუმს მიესალმნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და პროექტების განყოფილების თანამშრომლები ქალბატონები ანა კომლაძე და მაია კალატოზიშვილი.

ფორუმი ორ ნაწილად მიმდინარეობდა. პირველ ნაწილში მოსმენილი იქნა მშვიდობის საერთაშორისო დღის შესახებ განსახილველი მოხსენებები და ომი აფხაზეთში, რომელ-



ზედაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა საზოგადოებას აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა როზა კუხალაშვილმა, რომელმაც აფხაზეთში ომის დღეებში და დღემდე სრულყოფილად ემოციურად წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას თავის თავზე გადატანილი ისტორიები, მანვე წარმოადგინა მისი ავტორობით გამოცემული წიგნი „ჩვენ დავბრუნდებით“. როზა კუხალაშვილმა ისაუბრა და თავისი წინადადებები წარმოადგინა გაეროს 1325 რეზოლუციის თაობაზე - „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, რომელიც ითვალისწინებს ქალთა

როლის გაზრდას კონფლიქტების თავიდან აცილებაში.

ფორუმს ესწრებოდა და მოეუსმინეთ აფხაზეთის ომის თვითმხილველს 81 წლის ქალბატონ ტანია



თოდუას, რომელმაც ემოციურად გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას ომის პერიოდში განვლილი მძიმე დღეები, რომელსაც ყოველ დღე დღიურებად სწერდა. ქალბატონ ტანიას ნაამბობს თვალზე ცრემლმომდგარი დარბაზი უსმენდა... ..

ამაღლელებელი იყო მადლიერი შვილის- ჟურნალისტის ირმა ჯაჭვლიანის მიერ დედის მიერ ომის დროს დაწერილი დღიურების ორენოვან ნიგნად წარმოდგენა. საზოგადოების წინაშე. ღვანლით გალამაზებულ სიცოცხლეს უქებდნენ და მადლიერ სიტყვებს არ იშურებდნენ ყოფილი პედაგოგის მიმართ მისი მოსწავლეები- ყოფილი დეპუტატი, იურისტი ლია ცინდელიანი, ქალბატონ ტანიას მეგობარი ნინელი ეჯიბაძე ქალიშვილთან სოფი ჭკადუასთან ერთად რომლებიც ამ დღისთვის სვანეთიდან ჩამოვიდნენ, რათა მოეწებოდნენ ქალბატონ ტანიას და მისი ყოფილი



მოსწავლის- ირაკლი ჭკადუას სახელობის ფონდის სახელით საჩუქარი გადაეცათ..

დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საოცარი ადამიანის, ჩუმი ქველმოქმედის ირაკლი ჭკადუას ხსოვნას.

გამოკვეთილად ისაუბრა ირმა ჯაჭვლიანის ქველმოქმედებაზე და ჟურნალისტურ საქმიანობაზე კონსულტატ-მასწავლებელმა, ქალბატონმა ლალი მარგიანმა, ნიგნის მნიშვნელობაზე და მისი მეტი ტირაჟით გამოცემის აუცილებლობაზე ისაუბრა თარჯიმანმა- ქალბატონმა ცისია ბახტაძემ.


ქალბატონ ტანიას განვლილ ცხოვრებამ დიდი შთაბეჭდილება და ემოციური განწყობა შექმნა დარბაზში.

ქალბატონი ტანია ამ დღეს დაჯილდოვდა საქართველოს ქალთა საბჭოს სიგელით.

ტანია თოდუას პედაგოგიური

მოღვაწეობა კი მისმა მეგობარმა, ლახამულის სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნაზი ჭილაძემ ასე გადმოსცა სოციალურ გვერდზე:

რომ შემძლებოდა და მეც ვყოფილიყავ ამ საოცარი და ნანატრი ღონისძიების მონაწილე, ჩემ წილს, ბევრს და განსხვავებულს ალბათ ვერა, მაგრამ მაინც ვიტყვოდი ქალბატონზე, რომლის არსებობის ნათელი კვალი ცოცხლობს და არასოდეს ჩაქრება ჩემს მეხსიერებაში.



ვიტყვოდი, როგორ გაუმართლა ლახამულას საჯარო სკოლას, როცა ნათელი ფერებისგან დაცლილ, შიდათა და პესიმიზმით გაჟღერნილ



90-იანებში მარტო იმედის სხივად კი არა, შარავანდედად შემოვიდა ჯაჭვლიანების პედაგოგიური დინასტია, მის თვალ პატიოსან ტანია თოდუასთან ერთად!

ვიტყვოდი იმასაც, თუ როგორ და რატომ გამიმართლა მეც-ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე, მაგრამ სრულ ქაოსში ეულ იდეალისტად დარჩენილ დირექტორს, როცა აკადემიური პედაგოგიკის მწვავე დეფიციტის პირობებში, ტანია თოდუას ლიდერი მასწავლებლობით ფენიქსივით აღდგა ნაყოფიერი სასწავლო პროცესი და თვით იგი, ტანია თოდუა, იქცა ამ პროცესის უცვლელ კუმირად, ჩემთვის კი- მისაბამ მასწავლებლად, მრჩევლად, მეგობრად და სამართლიანობის მეტრად.

ვერასოდეს დავივინყებ, როგორი დედობრივი მოთმინებითა და სიყვარულით ანეიტრალედა იგი ჩემს ყოველ გულსწყვეტას, უკანონობასა და თავს მოხვეულ ე.წ.ახალ წესრიგზე, ჩემს თუმც სამართლიან, მაგრამ მრისხანე და ხისტი აღშფოთებას სწორედ მისგან, საოცრად სანდო, ძვირფასი და ავტორიტეტული ადამიანისაგან, დავინყე მოთმინების სწავლა და იმის გააზრება, რომ გა-

დანყვეტილების მიღებისას, სულაც არაა საკმარისი ან გადაწყვეტი, იყო მხოლოდ მართალი სანდო და დიპლომატი კოლეგისაგან მე ვიღებდი ერთგულ თანადგომას და ცხოვრებით გამობრძმედილ რჩევებს, რასაც ვითვალისწინებდი და დღემდე ვითვალისწინებ ცხოვრებაში!

ჩვენ ვიყავით საუკეთესო კოლეგები და მეგობრები საქმეშიც, ცხოვრებაშიც მხოლოდ მისი დამსახურებაა, რომ ქვეყნისთვის ყველაზე რთულ პერიოდში გვიხაროდა ყოველი სამუშაო დღის დაწყება და სრული ჰარმონიით, თან წარმატებით ვენეოდით მასწავლებლობის კიდევ უფრო დამძიმებულ ჭაბანს!

მშვიდი, თბილი, განონასწორებული, აკადემიური, პროფესიასა და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული ტანია თოდუა დღემდე რჩება ჩემთვის მასწავლებლის სახედ! ჩემს დიდ სანაცნობო აუდიტორიაში, სადაც წარმატებული, ღირსეული, მიზანდასახული პროფესიონალი კოლეგების სიმრავლეა, მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მათი გაზი-



არებული საქმიანობისასაც კი ცოტა რამ თუ მინახავს ჩემთვის უცხო და პირველი; მრავალფეროვანი მიდგომები, მეთოდები, თავისი ვასაოცარი შედეგებით-დიდი ხნით ადრე ვიხილე ტანია თოდუას გაკვეთილებზე და ეს ყველაფერი ყოველგვარი სტატუსომანიის, აღიარებისა და ტაშის გარეშე!

თუმცა სანთელ-საკმეველი გზას არ ჰკარგავს და სამართალი ურმით, მაგრამ თურმე მაინც დადის, ძვირფასო მეგობარო და სამაგალითო ადამიანო! შენ, დიდი პიროვნების თქმისა არ იყოს, ძეგლი თვითონვე აიგე- ხელთუქმნელი და მარადიული. რა ბედნიერებაა, რომ იმას, რასაც მთელი ცხოვრება შესწირე, კვლავ აგრძელებ და თაობებს ისევე ასწავლი ცხოვრებას, მშვიდობას, შუშუპვრობას, ერთგულებას და, რაც მთავარია, ასწავლი საქმედ ქცეული სიტყვით!

ჩვენ კი, იმედია, ისევე შევხვდებით აქ, ჩვენთან, ლახამულას სკოლაში, სადაც შენგან კვლავ ჩატარებულ, ცხოვრებისეულ და მთავარ გაკვეთილს სიამაყითა და სიყვარულით, ტაშით და ყვავილებით დავესწრებით შენი კოლეგები, აღზრდილები და სრულიად ლახამულის საზოგადოების წარმომადგენლები!

P.S. მადლობა უფალს, რომ დიდი ადამიანები, ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველთვის არ იკარგებიან უძველლოდ!

„დედას დღიურები“



„დედას დღიურები“ - ასე ჰქვია აფხაზეთში, შეიარაღებული დაპირისპირების დროს, სახლის უკან, თხრილში დამალული ქალის ჩანაწერებს, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოიცა. ტყვიების ზუზუნში, ფურცელზე მონიშნული ემოციები შეულამაზებლად გვიყვება ომის მთელ სისასტიკეს.

გაცრეცილ უბის წიგნაკში ამოკითხული ისტორიები, ოჩამჩირის სოფელ ახალდაბიდან დევნილის შვილმა, ჟურნალისტმა, ბლოგერმა და საოჯახო სასტუმრო „სახლი მესტიისში“ მფლობელმა, ირმა ჯაჭვლიანმა, მეგობრების რჩევით წიგნად აკინდა. ეს მას შემდეგ, რაც ნახა, რომ სოციალურ ქსელში ატივრთულმა მოკლე ამონარიდებმა ჩანაწერებიდან, ბევრი დაინტერესა.

81 წლის ტანია თოდუა თავის დროზე ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ თხრილში, პარალიზებულ დედასთან ერთად გატარებულ 33 დღიან შთაბეჭდილებებს, დღეს ამდენი მკითხველი ეყოლებოდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო - ოჩამჩირის მცხოვრები სვანეთში იყო გათხოვილი და ჭუბურის სკოლაში გერმანულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა. 1987 წელს, სტიქიის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლების გადანაცვლებით, დმანისში ჩაასახლეს, ტანია თოდუა კი მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნდა და ახალდაბის სკოლაში განაგრძო სწავლება. რამდენიმე წლის შემდეგ, ომის კონტურებიც გამოიკვეთა. შვილი, ირმა ჯაჭვლიანი გვიყვება, რომ როგორც კი წინააღმდეგობების, დაძაბულობის კერები გაჩნდა, დედა მამის სოფელში, ფარში ჩამოიყვანეს. თუმცა მამის ედუარდ შვეარდნაძემ ხალხი დაარწმუნა, სიტუაცია განიმუხტაო და გახიზნულ მოსახლეობას შინ დაბრუნებისკენ მოუწოდა.

ტანია თოდუა აფხაზეთში შვილების გარეშე ჩავიდა, სადაც პარალიზებულ დედას მარტო უვლიდა. მალე ომიც დაიწყო და ქალი მიხვდა, რომ მშობელს ვერ დატოვებდა.


„მერე სროლების ხმაც გაისმა, ყიფინა. ერთადერთი, რაც მოახერხა, დედა როგორღაც სახლის უკან, ბაღისკენ გადაიყვანა და იქვე მიანვიანა. მალევე ჭიშკრის გალების ხმებიც შემოესმა და შემოვარდნენ. სახლი ცეცხლს მისცეს. ღმერთმა გადაარჩინა ორივე, რომ ბაღისკენ გამავალი კარი არ გააღეს, თორემ ცხელ გულზე იქვე დახვრეტდნენ. დედა თავისი თვალით ხედავდა, როგორ დაინვა სახლი. მანდარინებთან თხრილი იყო. იქ ჩავიდა დედასთან ერთად, სადაც 33 დღე გაატარეს“, - უყვება „ლაივპრესს“ ირმა ჯაჭვლიანი.

სამი დღე უსმელ-უჭმელელები ისხდნენ ასე, ტყვიების ზუზუნში. თხრილიდან ამოსვლა კი არა, ნებისმიერი ზედმეტი მოძრაობაც კი, შესაძლოა სახიფათო ყოფილიყო. ჭასთან ხოხვით მიახლოება მხოლოდ მაშინ გაბედა, როცა სროლები შესუსტდა. მერე გაახსენდა, რომ ბოსტანში კიტრი და პომიდორი ჰქონდა. დაკრიფა და ცოტა დანაყრდნენ.


ფანჯრიდან სიჩქარეში გადმოვადებულ ხელჩანთაში ძველი წიგნაკი მოქექა, სადაც კონსერვის რეცეპ-

ტებს და სხვა მსგავს ჩანაწერებს ინახავდა. ასე დაიწყო დღიურმა ომის დღეების ათვლა. თხრილიდან დანახული და გაგონილიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ შეიარაღებული დაპირისპირება მთელი თავისი სინამდვილით და სიმძიმით აღეკვეა. ყველაფერთან ერთად კი, სროლების და აფეთქებების შუაგულში მყოფს, არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ.

თანდათან ჯარისკაცები იშვიათად ჩნდებოდნენ სოფელში. თხრილიდან ამოსვლაც სწორედ ამიტომ გაბედა და ფრთხილად გავიდა სოფლის გზებზე. ქუჩაში ნახევრადგახრწნილი გვამები ეყარა. რამდენიმეს დამარხვას საკუთარი ძალებით შეეცადა. ქართველთან ერთად, აფხაზი მეზობლის სახლიც გადამწვარი დახვდა.



მოგვიანებით უფრო შორსაც წავიდა. მდინარე, ტყეები გაიარა და ერთ სახლში, სადაც შუქი ენთო, წყალი ითხოვა. შემინებულმა ქალმა, რომელიც სავარაუდოდ აფხაზი იყო, ჯერ ჭისკენ მიუთითა, თუმცა



შემდეგ მიხვდა, რომ დედა მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა და შიგნით შეიპატიჟა, დააპურა. ეს ომი წაგებულაო უთხრა.

უკანა გზაზე ფეხსაცმელიც შემოეხა და დედასთან ფეხებდასისხლიანებული დაბრუნდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, თითქმის ორი დღე, ავადმყოფ ქალს პირი არ დაეკარებინა საქმლისთვის.

თხრილში ყოფნის 30-ე დღეს, დედა-შვილს თავზე დაადგნენ აფხაზი, რუსი და სომეხი ქალები, რომლებიც ეზო-ეზო დადიოდნენ და ქათმებს და გოჭებს ერეკებოდნენ. ტანია თოდუამ მოუყვა რაც თავს გადახდა. ისინი დახმარებას დაჰპირდნენ და უთხრეს, რომ გადაიყვანდნენ თავშესაფარში, სადაც სხვა ქალები იმალებოდნენ, დააპურებდნენ, მერე კი, აფხაზი მეუღლის ავტობუსით ენგურის ხიდამდე მიიყვანდნენ.

ასეც მოხდა. ავადმყოფი ქალებით, მოხუცებით

სავსე ტრანსპორტი აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრისკენ დაიძრა. ხიდამდე სამ ადგილას ე.წ. პოსტი იყო გამაგრებული, სადაც ჩხრეკდნენ. საგზალიც კი ჩამოართვეს. ერთს დასცდენია - „საცოდაო ჩემო სამშობლო“, რის გამოც მანქანიდან გადააგდეს და ფეხებში ესროლეს - ვკითხულობთ უბის წიგნაკში.

ტანია თოდუა ზუგდიდამდე მისმა მეზობელმა წაიყვანა. ზუგდიდიდან კი, ქართველ სამხედროებს ფოთში გაჰყვა, დასთან.

მთელი ამ ხნის მანძილზე, ოჯახმა არაფერი იცოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. თხრილში ყოფნის პერიოდში, მთავარი საფიქრალიც დევნილი ქალისთვის ეს იყო - ხმა მიენვდინა ქმარ-შვილისთვის.

„ჩვენ გვესახებოდა ხან დამხრჩვალად, ხან დამ-

ვარად. ის ფსიქოლოგიური ტრავმა შვილებს დღემდე გამოგვყვა. ჩვენთან სახლში, ჩვეულებრივ სამიძმარზე მოდიოდნენ. მაშინ ბაღში გამგედ ვმუშაობდი და ერთ დღეს, სამსახურიდან მოსულს, დედამთილი დამხვდა ხელგაშლილი, ირმა, დედა ცოცხალი გყავსო. ფოთიდან რაციით გადმოუციათ, ირმა ჯაჭვლიანს შეატყობინეთ, რომ დედა ცოცხალი ჰყავსო“, - იხსენებს წიგნის ავტორი.

„დედას დღიურები“ 500 ეგზემპლარად გამოიცა. თუმცა გაზრდილი მოთხოვნის გამო, დამატებითი ტირაჟის გამოცემაც იგეგმება. დახმარებისთვის თავის დროზე აფხაზეთის კულტურის სამინისტროს მიმართა, მაგრამ გარკვეული ფორმალური პროცედურების და დაგვიანებული პასუხის გამო, ირმამ წიგნი საკუთარი სახსრებით გამოსცა.

წიგნის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ თბილისში, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში უკვე შედგა, ქალთა საბჭოს ინიციატივით გამართულ ფორუმზე - „ქალი და მშვიდობა“, სადაც ქალთა საბჭომ ქალბატონი ტანია სიგელით დააჯილდოვა.

ირმა ჯაჭვლიანის სურვილია, „დედას დღიურები“ აფხაზურადაც ითარგმნოს, ამაში კი გარკვეული სახის მხარდაჭერა დასჭირდება.

ცოტა ხნის წინ, მის საოჯახო სასტუმროს დამსვენებლები გალიდან სტუმრობდნენ. ეს წიგნიც საჩუქრად გაატანა.

ჩემი აზრით, ამ წიგნმა ევროპაც უნდა მოიცვას. ის დღეს ქართულთან ერთად, უკვე ინგლისურ ენაზეც ხელმისაწვდომია“, - ამბობს ირმა.

მანამდე კი, „დედას დღიურებს“ თბილისში, სვანეთის დღეების ფარგლებშიც წარადგენენ. წიგნის ავტორი პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მესტიისში ყოფნისას დაპატიჟა, ძალიან ცოტა გვაქვსო ცოცხალი მასალა, - უთხრა.

წიგნით დაინტერესდნენ ასევე ქართველი სცენარისტები და რეჟისორები..

შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ წიგნში აღწერილი ისტორია ფილმადაც ვიხილოთ.

ერთადერთი, რაც დღეს ირმა ჯაჭვლიანს ქართველებისთვის და აფხაზეთისთვის უნდა, მშვიდობაა. ამ ომს გამარჯვებული არ ჰყავსო, ამბობს. სჯერა, რომ შეცდომები ორივე მხარეს იყო, და რომ ახლა მთავარი ამოცანა წყენაზე, ტკივილებზე დაუსრულებელი ფიქრი კი არა, შერიგების გზების მოძებნაა.

გოლგოთის გზა საშუალოდროსკენ

29 ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა მას შემდეგ რაც საკუთარ სამშობლოში ხიზნებად ვიქცეით...

13... საკრალურ რიცხვად მექცა, რიცხვი რომელიც დღესაც მძულს... 1993 წელი, 13 თვე და 13 დღე და 13 წლის ბავშვის თვალთ დანახული საზარელი ომი...

მახსოვს 1992 წლის ზაფხული, დედის შემოღობილი სახე კარებში და საშინელი სიტყვა & QUOT; ომი დაიწყო & QUOT;... თითქოს დრო გაჩერდა. ბავშვობა სადღაც მიიშალა... მთელი ქუჩა გაისუსა ყველას უხმო ტკივილი აღბეჭდოდა სახეზე... ბავშვებმა უცებ ვიგრძენით რომ დამთავრდა ლამაზი ბავშვობა ჩვენს სპეციალურ სულელებში რაღაც ამოუხსნელმა სიბნელემ შემოაღწია. აღარ გვახსოვდა მდინარე, ასკინკილა და ქუჩაში ფეხშიშველა სირბილი... ჩვენი სასაუბრო თემა ნალვლიანი გახდა...

ზღაპრების ნაცვლად ომმა საშინელი ამბები შემოგვარჩენა... სიკვდილი, სისხლი და უბედურება...

მე ჩემი სამყარო შევქმენი მაგიდის ქვეშ, სადაც თავს ვაფარებდი ალბათ შიშითა და სევდით გულმოკლული. მაგიდის ქვეშ შევძვრებოდი და საათობით გარინდული ვიჯექი, როცა ირგვლივ ავტომატის კაკანი და ბომბების ბათქა-ბუთქი იდგა. ალბათ დაუცველ სამყაროში ყველაზე დაცულად იქ ვგრძნობდი თავს, (ხშირად დამცინოდნენ ბიძაშვილები ამის გამო & QUOT;);

ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება სოხუმის დაცემის დღე... ცაზე ნათურებანთებული ვერტმფრენებით ზეიმობდნენ აფხაზები გამარჯვებას... მე და ჩემი ბიძაშვილები კი სარდაფში მოწყობილ თავშესაფარში დაბომბვის მოლოდინში შეგვხიზნეს მშობლებმა...

შემდეგ დაიწყო გასაქცევად მზადება... ქალები და ბავშვები დავიძარით კოდორის ხეობისაკენ და დაიწყო გოლგოთის გზა სამშვიდობოსკენ...

ომმა საშინელი, შეუხორცებელი ჭრილობა დაგვიტოვა თითოეულ იქ მცხოვრებთ... ამ ომმა განსაკუთრებით დაახლოვა და შეაყვარა იქ მცხოვრებთ ერთმანეთი... ეს სიყვარული საერთო ტკივილმა შობა, რომელიც ყველა სიყვარულზე ძლიერია...

მე მიყვარს ჩემი აფხაზეთი და მე მჯერა რომ დავბრუნდები... თუმცა ცხოვრება იქ ისეთი ლალი აღარ იქნება, როგორც იყო, რადგან ამ ომს ბევრი ტკივილი მოყვა, რომელიც არ დაივიწყება ჩემს გულში არასოდეს...

ეკა ნულუკიძე

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში ისტორიულ ბალსზემო ტერიტორიას მოიცავს. ეპარქიის შემადგენლობაში მთიანი საქართველოს პატარა ქალაქი მესტია და მისი ვრცელი შემოგარენი შედის. ეპარქიას აღმოსავლეთიდან - ნიკორწმინდის, დასავლეთიდან - ცხუმ-აფხაზეთის, სამხრეთიდან - ცაგერ-ლენტეხისა და ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიები ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან კი - კავკასიონის ცენტრალური ქედი.

ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროების უწყებით, წმინდა მოციქულებს ამ მხარეშიც უქადაგიათ და პირველი ქრისტიანული თემიც დაუფუძნებიათ. მესტიისა და ზემო სვანეთის დამოუკიდებელი ეპარქია ისტორიულად არ არსებობდა, ეს ტერიტორია ცაიშელი და ცაგერელი მღვდელმთავრების სამწყსოებს მიეკუთვნებოდა. ცაგერელი ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიოდა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორია. დროდადრო მისი საზღვრები ბალსზემო სვანეთის ხარჯზე იზრდებოდა, თუმცა XVII საუკუნისთვის საცაგეროდ მხოლოდ ლეჩხუმი და მხოლოდ ქვემო სვანეთი ითვლებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემო სვანეთის ტერიტორიები დამოუკიდებელი ან რაღაც ამის მსგავსი საეკლესიო ერთეული იყო.

ზემო სვანეთი ადრიდანვე საშიშროების ჟამს ბარიდან ატანილ საეკლესიო სინამდვილესა და ითვლებოდა. გარდა ამისა, ეს მხარე ცნობილი იყო ხატწერის, ხეზე და ლითონზე კვეთის სკოლებით.

როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში, მოციქულთა დროიდან გავრცელდა, ხოლო IV საუკუნიდან ის შეიცვალა ქრისტიანული ეკლესიის ამ ეპარქიისთვის მისაღები ფორმით და საყოველთაო ხასიათი მიიღო.

პირველ საუკუნეთა ქრისტიანობას სპეციალისტები იუდაურ ქრისტიანობას უწოდებდნენ, ხოლო შემდგომი პერიოდისას - ელინურს. როგორც ჩანს, IV საუკუნიდან ჩვენში გავრცელებულმა ელინურმა მძლავრმა ქრისტიანობამ ვერ იგუა (ეს, რა თქმა უნდა, პირობითი ტერმინია) ძველი, ე.წ. იუდაური ქრისტიანობა და ამ ქრისტიანულმა მიმდინარეობამაც მთებს შეაფარა თავი. ეს საკმაოდ რთული საკითხია და ამის შესახებ სხვა მოსაზრებებიც არსებობს. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა: საქართველოს მთიანეთის ქართველი მოსახლეობა ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო და მზად იყო სარწმუნოებისთვის თავის დასაბრუნებლად, თუმცა ზოგიერთი ისეთი წეს-ჩვეულებაც ჰქონდათ, რომელთაც დღეს ახსნას ვერ უძებნიან და წარმართობის ელემენტებად მიიჩნევენ, მაგრამ ეს მცდარი შეხედულება უნდა იყოს - ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ წარმართობამ მთელ საქართველოში უკან დაიხია და განქარა, ამიტომაც შეუძლებელია, ახალ მოძღვრებას რამე წარმართული ელემენტი გამოეყენებინა ან შეერწყა. ესეც არ იყოს, რა საერთო აქვს ნათელს ბნელთან? - ქრისტიანული სარწმუნოების ნათელი თავის გვერდით ვერ იგუებდა ვერავითარ წარმართულ ელემენტს, მით უმეტეს, სარწმუნოებრივ-რელიგიურ სფეროში. ასე იყო მთელ მსოფლიოში და არც სვანეთი იქნებოდა გამონაკლისი. ქრისტიანობამ აქაც სრული სისავსით მოიკიდა ფეხი, ამ კუთხის შვილებიც ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხე იზოლაციაში მოექცა, განსაკუთრებით - XVII საუკუნეში,

როდესაც კავკასიის მოსახლეობამ აქტიურად იწყო საქართველოს სანახებში ჩამოსვლა. ამ დროს მოიშალა არაერთი ისტორიული საეპისკოპოსო კათედრა (მაგალითად, ბედიისა აფხაზეთში), რასაც, ბუნებრივია, ქრისტიანობის შესუსტება მოჰყვა. სვანეთი, განსაკუთრებით - ბალსზემო, ფაქტობრივად, სრული იზოლაციაში აღმოჩნდა. ქრისტიანობის შესუსტებას დაერთო მის მეზობელ ყაბარდოში და, საზოგადოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში იუდაიზმის გავრცელება (XVII ს.), იუდაისტური წეს-ჩვეულებების სვანეთში შემოჭრა, ადგილობრივი ცრურწმენების აღორძინება, ქართული ეკლესიის გაუქმება XIX საუკუნეში... თუ ამ ყოველივეს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება სვანეთში და, საზოგადოდ, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობასთან ერთად უცნაური წეს-ჩვეულებების არსებობა. თუმცა, ვიმეორებთ, ეს არამც და არამც არ უნდა იყოს წარმართული გადმონაშთები; ეს არის გვიანდელი, ავბედობის ჟამს შემოტანილი თუ შექმნილი რიტუალები.

სამწუხაროდ, საზოგადოებაში დღესაც გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს საქართველოს მთიანეთის მკვიდრი სარწმუნოებრივად უფრო წარმართები იყვნენ და იქ შემონახული ადათ-წესები, დღეობები თუ დღესასწაულები ქრისტიანული ელემენტებით შეზავებულ წარმართულ რიტუალებს წარმოადგენს. ეს აზრი რუსული საეგზარქოსოს დაარსების შემდეგ თითქმის ორასი წლის მანძილზე ინერგებოდა საქართველოში და საბოლოოდ XX საუკუნეში, ათეისტური ხელისუფლების დროს განმტკიცდა. ამ მოსაზრების სისწორეში ამჟამად არა მხოლოდ ბარის, თვით მთის მოსახლეობასაც კი არ ეპარება ეჭვი, სინამდვილე-

ში კი ანალიზი და ძეგლები, რომელთაც მიეკუთვნება „სვანეთის საეკლესიო კრებათა მატრიანე“, სულ სხვა სურათს გვიჩვენებს. ამ მეტად მნიშვნელოვანი საბუთიდან ირკვევა, რომ სვანეთის ეკლესიების მღვდელმსახურთა შემადგენლობა ჭრელი და მრავალრიცხოვანი ყოფილა. აქაურ ეკლესიათა საქმიანობას ქორეპისკოპოსნი, მამასახლისნი და მოძღვარნი წარმართავდნენ. მათი უმრავლესობა ადგილობრივი ყოფილა. X-XV საუკუნეებში სვანეთის საერისთავოში ყოფილა რამდენიმე საქორეპისკოპოსო, მათ შორის - მესტიაში (სეტის მონასტერი), ლაშხეთში, სვანეთის მთიულეთში (ზედ ქალაქს), სავარაუდოდ - სვანეთის სხვა ადგილებშიც. XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე „სვანეთის მთიულეთში“ საეპისკოპოსოს არსებობაზე „ჯაფარიძეთა სიგელში“ ნათქვამია: „ზედ ქალაქსა კარგი საპატო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა საეპისკოპოსო მისით ომოფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოსსა და იმისთანათა საყდარს ეკადრების“. სვანეთში საერთო მნიშვნელობის და ეკონომიკურად ძლიერ ეკლესიას მამასახლისთან ერთად მეჭურჭლე, მოლარეთუხუცესი, მედროშე, ჯვრის მტვირთველი და სხვა მოხელეებიც ჰყოლია.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით შეიქმნა მესტიისა და ზემო სვანეთის დამოუკიდებელი სამღვდელმთავრო. ეს სამწყსო მანამდე არსებული ცაგერისა და სვანეთის განვრცობილი ტერიტორიის საფუძველზე აღმოცენდა. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მწყემსმთავრად დადგენილია ეპისკოპოსი ილარიონ ქიტიაშვილი.

მომზადდა დიაკონმა ლევან მათეშვილმა

<p>დაფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.</p> <p>მისამართი: დაბა მესტია, სატიის მოედანი 1.</p>	<p>გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ</p> <p>ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი</p>	<p>გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორი“ (ტირაჟი - 600 ცალი)</p>	<p>ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45 ირმა ჯაჭვლიანი ელ. ფოსტა: Irma_ushba@yahoo.com</p>
---	--	--	---